

დოკუმენტის სახელი: მედიკავერის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 7.0
Approved by: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	დამტკიცების თარიღი: 28.11.2018



მედიკავერის ქცევის კოდექსი

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



სარჩევი

1	სარჩევი	3
2	მედიკავერის ქცევის კოდექსის მიზანი	3
3	ვის ეხება ქცევის კოდექსი?	4
4	განმარტებები	4
5	ბიზნეს წარმომადგენლები	4
6	ბიზნეს ეთიკა.....	5
6.1	ბუღალტრული ანგარიშგების პრინციპები	5
6.2	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....	5
6.3	უკიდურესად მნიშვნელოვანი ბიზნეს და პერსონალური ინფორმაცია	6
6.4	პოლიტიკური ჩართულობა.....	6
6.5	ადამიანის უფლებები, დასაქმება და სამუშაო გარემო	7
6.6	გარემო.....	8
6.7	კომუნიკაცია	8
6.8	შიდა ვაჭრობა.....	8
6.9	მომწოდებლები.....	8
7	პასუხისმგებლობები	9
7.1	ყველა გენერალური მენეჯერი და ადამიანური რესურსების/იურიდიული დეპარტამენტი.....	9
7.2	ყველა მენეჯერი.....	9
7.3	ყველა დასაქმებული	9
8	კითხვები და დარღვევების შესახებ ანგარიშის ჩაბარება	9
8.1	როგორ გავიგო ვიცავ თუ არა ქცევის კოდექსს?	9
8.2	დარღვევების შესახებ ანგარიშის ჩაბარება	10
	ვალდებულებების შესახებ განცხადება	11

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



1 სარჩევი

მედიკავერ ჯგუფი (Medicover AB (publ) და მისი ფილიალები) (“მედიკავერი” ან “კომპანია მედიკავერი”) იცავს ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს, შრომით უფლებებს, გარემოს და იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ მისი საქმიანობის განხორციელებისას. მედიკავერი ეთანხმება და მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილის, სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შესახებ ILO-ს დეკლარაციის, გარემოს დაცვაზე და განვითარებაზე რიოს დეკლარაციის, კორუფციის შესახებ გაეროს კონვენციის (გაეროს გლობალური შეთანხმების მიხედვით), მულტიეროვნული საწარმოების შესახებ OECD გაიდლაინების და გაეროს სახელმძღვანელო ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებში მიღება და დაცვა. ადგილობრივ კანონებთან და რეგულაციებთან ერთად კომბინაციაში, ეს ის პრინციპებია, რომელთა დაცვის ვალდებულებასაც იღებს მედიკავერი.

2 მედიკავერის ქცევის კოდექსის მიზანი

მედიკავერის ქცევის კოდექსის მიზანია (ქცევის კოდექსი) უზრუნველყოს ის, რომ ყველა თანამშრომელი (მოცემულია ქვემოთ) და ყველა ბიზნეს წარმომადგენელი (მოცემულია ქვემოთ) საქმის კურსშია მედიკავერის ბიზნეს ეთიკის საფუძვლების და მუშაობის მეთოდების შესახებ. მედიკავერის ღირებულებები ჩვენი საქმიანობის გასაღებია. ჩვენ ვისწრაფვით, რათა მივაღწიოთ ჩვენი კლიენტების მაქსიმალურ ჯანმრთელობას, უზრუნველყოთ ჯანდაცვის მაღალი სტანდარტები და მუდმივად გავაუმჯობესოთ ის საქმე, რასაც ვემსახურებით. ჩვენ ვიცავთ კომპანიის ხუთ ძირითად ღირებულებას, რომელთა შორის კი ხარისხისკენ სწრაფვა უმნიშვნელოვანესია.



მედიკავერი ისწრაფვის მაღალ ეთიკურ სტანდარტებისკენ და პასუხისმგებლიანი კომერციული წარმატებისკენ, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი წარმატება იზომება არა მხოლოდ ეკონომიკური ღირებულების ზრდით და ეფექტურობით, არამედ ასევე იმ მეთოდებით, რომლის მიხედვითაც ვახორციელებთ ბიზნესს და ვიღებთ პასუხისმგებლობას. უკიდურესად მნიშვნელოვანია იყო პასუხისმგებლიანი და კარგი სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია. ყველა ჩვენი, როგორც დამკვირვებელი/დასაქმებულის საქმიანობა უნდა განხორციელდეს პროფესიონალურ დონეზე, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემო და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების დაცვით.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



მედიკავერი მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისი კანონებით და რეგულაციებით. მედიკავერის ფარგლებში ყველა კომპანიამ უნდა იმუშაოს ადგილობრივ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში. ამ კოდექსის თანახმად, საქმიანობის წარმართვით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ადგილობრივ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობას. ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა დაიცვათ და პატივი სცეთ, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული სცილდება ადგილობრივ კანონებს და რეგულაციებს.

3 ვის ეხება ქცევის კოდექსი?

წინამდებარე ქცევის კოდექსი ვრცელდება მედიკავერის ყველა კომპანიაზე და ყველა თანამშრომელზე (მოცემულია ქვემოთ) და ყველა ბიზნეს წარმომადგენელზე (მოცემულია ქვემოთ). ყველა თანამშრომელს და ბიზნეს წარმომადგენელს მოეთხოვება დაემორჩილოს ადგილობრივ კანონებს და რეგულაციებს, წინამდებარე ქცევის კოდექსთან ერთად.

4 განმარტებები

წინამდებარე ქცევის კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტება:

“ბიზნეს წარმომადგენელი” გულისხმობს და მოიცავს აგენტებს, ბროკერებს, შუამავლებს, წარმომადგენლებს, კონტრაქტორებს, კონსულტანტებს, ლობისტებს, სერვისის მომწოდებლებს და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც ჩართულია ან ევალება ჩაერთოს მედიკავერის სახელით მოქმედებაში ან მის ნაცვლად.

ტერმინი **„დასაქმებული“** გულისხმობს და მოიცავს თითოეულ პირს, რომელიც მუშაობს ან მომსახურებას უწევს მედიკავერს, დაქირავებით თანამშრომლობის კონტრაქტის ან თვით დასაქმების შესახებ მედიკავერთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე. ტერმინი **„დასაქმებული“** ასევე მოიცავს მედიკავერის დირექტორთა საბჭოს, მმართველი საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა კორპორატიული ორგანოების ყველა წევრს.

“ადამიანური ურთიერთობების/იურიდიული განყოფილება” - როდესაც ეს ეხება ანგარიშგებას, საჩივრებს, საკითხებს ან პრობლემებს, ეს ნიშნავს, თქვენი ბიზნეს დეპარტამენტი ადამიანური ურთიერთობების/იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელს ან თქვენი განყოფილების ადამიანური ურთიერთობების/იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელს ან ჯგუფის ადამიანური ურთიერთობების ხელმძღვანელს, პირველ რიგში იმას, ვინც ყველაზე ახლოს არის თქვენს ორგანიზაციასთან, თქვენი არჩევანი.

5 ბიზნეს წარმომადგენლები

მედიკავერი იწვევს ბიზნეს წარმომადგენლებს სხვადასხვა მომსახურების გასაწევად. ის წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ მედიკავერის ნაცვლად ან მისი სახელით, უნდა დაემორჩილონ წინამდებარე ქცევის კოდექსს, ასევე ყველა მოქმედ კანონს და რეგულაციას. საქმეში მონაწილეობის პირობები უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ამ ქცევის კოდექსის მითითებით.

მოახდინეთ შთაბეჭდილება ბიზნესის წარმომადგენლებზე და აჩვენეთ, რომ მედიკავერს გააჩნია მაღალი ეთიკური სტანდარტების და მოქმედი კანონების და რეგულაციების დაცვის კულტურა.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქვევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



6 ბიზნეს ეთიკა

6.1 ბუღალტრული ანგარიშგების პრინციპები

ყველა ფინანსური ტრანზაქცია სრულად და ზუსტად უნდა აღინუსხოს კომპანიის საბუღალტრო წიგნებში, ზოგადად მიღებული ანგარიშგების პრინციპების, პოლიტიკის და მოქმედი კანონების/რეგულაციების გათვალისწინებით. კომპანიის ყველა წიგნი, ჩანაწერი, ანგარიშები და ფინანსური/ბუღალტრული დოკუმენტები უნდა აწარმოთ დეტალურად და ზუსტად ასახავდეს კომპანიის ტრანზაქციებს. მედიკავერმა უნდა დაიცვას მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო პრინციპებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის ვალდებულება გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები სამოქმედო ქვეყნის ბიუჯეტში.

ფულის გათეთრება

მედიკავერი უნდა დაემორჩილოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ყველა კანონს, მსოფლიოს მასშტაბით და სამუშაო ქვეყნებში. მედიკავერი იცავს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) მაღალ სტანდარტებს და ყველა თანამშრომლისგან მოითხოვს დაიცვან აღნიშნული სტანდარტები ფულის გათეთრების თავიდან ასაცილებლად.

მედიკავერის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა უზრუნველყოფს შიდა AML/CTF-ს კონტროლის ზოგად ერთიან სტანდარტების მინიმუმს, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველა თანამშრომელმა და მედიკავერის ყველა კომპანიამ.

დადასტურება

ვიდრე მედიკავერის სახელით დადებენ რაიმე სახის დოკუმენტს, ხელშეკრულებას, განცხადებას ან კონტრაქტს, ყველა თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს, რომ მიიღეს შესაბამისი დადასტურება, ავტორიზაცია და ხელმოწერის უფლება ამის გასაკეთებლად.

6.2 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

მედიკავერს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი ფორმის კორუფციის მიმართ, მათ შორის გამოძალვა, ქრთამის აღება და მიცემა, მადლიერების ნიშნად გადახდა, ინტერესტთა კონფლიქტი, მითვისება ან ნეპოტიზმი/კრონიზმი. კორუფცია ძირს უთხრის საქმიან რეპუტაციას და მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს მედიკავერის საქმიანობის ფასეულობას და წარმატებას. ყველა ქვეყანა, სადაც მედიკავერი მუშაობს ან საქმიანობას ახორციელებს, გააჩნიათ კანონები, რომელიც კომპანიებს და ფიზიკურ პირებს უკრძალავს ისეთ კორუფციულ საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე. მედიკავერი უნდა დაემორჩილოს აღნიშნულ კანონებს და ახორციელებს მხოლოდ ისეთ საქმიანობას, სადაც მედიკავერი პატიოსნად და სამართლიანად კონკურირებს. ნებისმიერი მცდელობა, რომელიც უკანონო ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე ან აყენებს მედიკავერს უპირატეს მდგომარეობაში, მკაცრად აკრძალულია. მედიკავერი საქმიანობას ახორციელებს პასუხისმგებლობით, ეთიკურად და მექრთამეობის გაერშე, მიუხედავად ადგილობრივი პრაქტიკისა და წესებისა. მედიკავერი გადაწყვეტილებებს არ იღებს მისთვის პირადი სარგებლის მიცემით ან შეთავაზებით. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი დგება მაშინ, როდესაც პირის პირადი ინტერესი იკვეთება ან შეიძლება გადაიკვეთოს კომპანიის ინტერესებთან. კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება დადგეს, როდესაც

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქვევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



დასაქმებული ახორციელებს ისეთ მოქმედებებს ან ავლენს ინტერესს, რაც აფერხებს მისი მხრიდან კომპანიაში შესასრულებელი სამუშაოს შესრულებას ობიექტურად და ეფექტურად. პოტენციური კონფლიქტების სხვა მაგალითები მოიცავს დასაქმებულებს ზემდგომ-ქვემდგომ იერარქიაში, რომლებიც ქორწინდებიან, სამოქალაქო ურთიერთობაში შედიან ან სხვაგვარად მნიშვნელოვან ურთიერთობას იწყებენ.

გარდა ამისა, ინტერესთა კონფლიქტია ასევე ის ფაქტი, როდესაც დასაქმებული მუშაობს კონკურენტთან, კლიენტთან, მომწოდებელთან, მსესხებელთან ან მრჩეველთან. მაგალითად, დასაქმებულებს ეკრძალებათ იმუშაონ ან ასოცირდებოდნენ კონკურენტთან ნებისმიერი ფორმით, მედიკავერთან კონტრაქტის მოქმედების ან დასაქმების პერიოდში.

ზოგიერთ შემთხვევაში, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი უფლებამოსილია უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურება კონკურენტის სახელით. აღნიშნულის უფლება შეიძლება დაუშვას კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, როდესაც საქმის კურსშია სამედიცინო პერსონალის უშუალო ხელმძღვანელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი ან ადამიანური რესურსების რეგიონალური ხელმძღვანელი ან რეგიონალური გენერალური მენეჯერი (ან მასთან გათანაბრებული რეგიონალური მენეჯერი).

6.3 უკიდურესად მნიშვნელოვანი ბიზნეს და პერსონალური ინფორმაცია

დასაქმებულებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია არამართებული გასაჯაროებისგან. იგივენაირად უნდა დაიცვათ ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მიღებულია იმ პირებისგან, რომელტანაც მედიკავერი ბიზნესს ახორციელებს. ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

საინფორმაციო გარემო და ინფორმაციის უსაფრთხოება

ნებისმიერი სახის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და ჯანმრთელობის შესახებ პირადი ინფორმაცია მედიკავერში უნდა დამუშავდეს და შენახულ იქნეს მონაცემთა დაცვი შესახებ ევროკავშირის და ადგილობრივი კანონების და რეგულაციების თანახმად. საინფორმაციო გარემოს და ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯგუფის საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა.

6.4 პოლიტიკური ჩართულობა

მედიკავერი პოლიტიკურად ნეიტრალურია პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან დაკავშირებით. მკაცრად იკრძალება პირდაპირ ან ირიბად რამე ძვირფასის/ღირებულის გაცემა ოფიციალური პირების ან ადგილობრივი ან/და უცხო ქვეყნის მთავრობების ან ადგილობრივი ან/და უცხო ქვეყნის პოლიტიკური კანდიდატების სასარგებლოდ, მათ შორის ფული, საჩუქრები, სამსახურის დაპირება, იმისთვის რათა მოიპოვოს ან შეინარჩუნოს ბიზნესი და გადაუხადოს სამთავრობო ოფიციალურ პირებს.

ბიზნესის წარმოება მთავრობასთან და საჯარო პირებთან ექვემდებარება დამატებით წესებს და განხილვას. არსებობს სტანდარტები ნომიალურ საჩუქრებთან და გართობასთან დაკავშირებით, რაც ქვეყნების და ქვეყნების რეგიონებს შორის განსხვავდება. ყველა დასაქმებული ვალდებულია იცოდეს და დაემორჩილოს ადგილობრივ ფულად ლიმიტებს, კანონებს და რეგულაციებს და კომპანიის პოლიტიკას.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



6.5 ადამიანის უფლებები, დასაქმება და სამუშაო გარემო

ადამიანის უფლებები

მედიკავერი პატივს სცემ და ექვემდებარება საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს. თითოეულ ჩვენთაგანს აკისრია ვალდებულება პატივი სცეს ადამიანის უფლებებს და დაიცვას კანონი.

- მედიკავერი ავლენს ნულოვან ტოლერანტობას ბავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის მიმართ;
- მედიკავერმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაო საათები შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას, ILO კონვენციებს ან კოლექტიურ შეთანხმებას, იმის მიხედვით, რომელიც უკეთესად დაიცავს მუშაკს.
- უზრუნველყოს, რომ სამუშაო საათები დაყოფილია, ადგილობრივი კანონის მიხედვით, ნორმალურ სამუშაო საათებად და ზეგანაკვეთურ საათებად და არ აჭარბებს ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ დადგენილ მაქსიმუმს.
- მედიკავერი იხდის ხელფასებს და გასცემს ბონუსებს, რაც კონკურენტუნარიანია ბაზარზე და შეესაბამება საწარმოო სტანდარტებს იმ ქვეყნებში, სადაც მედიკავერი მუშაობს.
- მედიკავერი აღიარებს ყველა თანამშრომლის გაერთიანების თავისუფლებას და თანამშრომლების უფლებას კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.
- მედიკავერი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა და ბულინგი

მედიკავერი უზრუნველყოფს თანასწორუფლებიან, სამართლიან და არადისკრიმინაციულ სამუშაო გარემოს და კრძალავს დასაქმებულის მხრიდან ყოველგვარ დისკრიმინაციას, შეურაცხყოფას და ბულინგს. დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, დაცინვა ან ხუმრობა ადამიანის რასის, ფერის, აღმსარებლობის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, მოქალაქეობის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის ან გონებრივი ან ფიზიკური ნაკლის შესახებ, ასევე კანონით დაცული ინდივიდუალური შტრიხები ან სტატუსი/მდგომარეობა, ექვემდებარება შესაბამის პასუხისმგებლობას.

ბულინგი მოიცავს განზრახ ან უნებლიე სიტყვიერ ან უსიტყვო ქცევას ერთი ან მეტი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის მიმართ, მუდმივად და სისტემატიურად დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მაგ. ერთჯერადი შეურაცხმყოფელი რეპლიკა მიუღებელია და მოითხოვს დისციპლინარულ მოქმედებას, თუმცა ეს არ არის ბულინგი. ასევე, კრიტიკულმა სამუშაო დასახიასთებამ შესაძლოა უკუშედეგი აჩვენოს დასაქმებულის კეთილდღეობაზე, თუმცა ეს არ მიიჩნევა ბულინგად).

ბულინგი შეიძლება იყოს მოქმედება:

- რომელიც აშინებს, ავლენს პირდაპირ ან ირიბ აგრესიას, ამცირებს, შეურაცხყოფას აყენებს ან საზოგადოებისგან გარიყავს ნებისმიერ თანამშრომელს;
- აბროლებს დასაქმებულის პროდუქტიულობას ან მთლიანად მუშაობას; ან უარყოფითად მოქმედებს მის გონებრივ ან ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



ნარკოტიკები და ალკოჰოლი

მედიკავერი ინარჩუნებს ალკოჰოლისგან და ნარკოტიკებისგან თავისუფალ სამუშაო სივრცეს, დასაქმებულებისთვის უსაფრთხო, ჯანსაღი და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით. სამუშაოს დროს ან კომპანიის მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე ალკოჰოლის უკანონო მოხმარება დაუშვებელია.

უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემო

მედიკავერი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და დაიცვას სამუშაო სივრცე უბედური შემთხვევებისგან. ყველა დასაქმებული ვალდებულია დაემორჩილოს კომპანიის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებს, აცნობოს ინციდენტების, უბედური შემთხვევების, დაზიანებების და სახიფათო აღჭურვილობის შესახებ და გამოიჩინონ სიფრთხილე სამუშაოს შესრულებისას.

6.6 გარემო

მედიკავერი მუდმივად ისწრაფვის გააუმჯობესოს გარემო მაჩვენებლები ყველა მის საქმიანობაში თუ დაწესებულებაში. დაბინძურებისგან გარემოს დაცვის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს (და არა მხოლოდ) ისეთ აქტივობებს და პროცესებს, რომელიც შეამცირებს სასათბურე გაზების გამოყოფას, შეამცირებს ზიანის შემცველი სუბსტანციების და საშიში ნარჩენების გამოყენებას, შეზღუდავს და შეამცირებს ამოწურვადი რესურსების გამოყენებას, ხელს შეუწყობს ნარჩენების გადაყრის ზრდის დონეს, მონიტორინგი გაუწევს შესაბამის გარემო საკითხებს და გაზრდის ეფექტურობას კომპანიის საქმიანობაში გარემო მოთხოვნების დანერგვით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მედიკავერის გარემო პოლიტიკა.

6.7 კომუნიკაცია

მედიკავერის ყველა კომუნიკაცია უნდა იყოს დროული, სანდო, ზუსტი და უახლესი. მედიკავერმა უნდა დაამყაროს კარგი ურთიერთობები მედიასთან, მედიკავერის რეპუტაციის და ბრენდის ხელშესაწყობად. მედიკავერის სახელით ყველა კომუნიკაციას მედიასთან, ანალიტიკოსებთან ან ინვესტორებთან, სოციალურ მედიაში ასრულებს უფლებამოსილი სპიკერი. მედიკავერის საინფორმაციო პოლიტიკა მოიცავს ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ ვინ იქნება უფლებამოსილი სპიკერი.

6.8 შიდა ვაჭრობა

შიდა ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტი ხასიათის ინფორმაციას, რომელიც არ გასაჯაროებულა და რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება მედიკავერს ან მედიკავერის ფინანსურ ინსტრუმენტებს და თუ აღნიშნული გასაჯაროვდა, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მედიკავერის ფინანსური ინსტრუმენტების, ნაწარმოები ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე (იქნება ეს სააქციო თუ სასესხო). მედიკავერის ყველა თანამშრომელს ეკრძალება მონაწილეობა მიიღოს შიდა ინფორმაციის შიდა ვაჭრობაში ან გასაჯაროების პროცესში, რაც აკრძალულია კანონით. შიდა ვაჭრობის შესახებ კანონების ნებისმიერი სახის დარღვევა სერიოზული დანაშაულია და ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მედიკავერის რეპუტაციის შელახვას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მედიკავერის შიდა ვაჭრობის პოლიტიკა.

6.9 მომწოდებლები

მედიკავერმა მედიკავერის საქმიანობის წარმოების ფორმაზე დააწესა მაღალი სტანდარტები და მედიკავერი ყველა მისი მომწოდებლისგან და მათთან საქმიან ურთიერთობაში ელის იგივეს.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



მედიკავერის ქცევის კოდექსი ვრცელდება მედიკავერის მომწოდებლებზე. მთავარ მომწოდებლებს უნდა მოეთხოვოთ ქცევის კოდექსის ცოდნა და აღიარება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი.

7 პასუხისმგებლობები

ყველა დონის მენეჯერი პასუხისმგებელია წინამდებარე ქცევის კოდექსის შესრულებაზე და ვალდებულია აცნობოს დასაქმებულებს კოდექსთან დაკავშირებული მათი უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

კონკრეტული პასუხისმგებლობები ჩამოთვლილია ქვემოთ.

7.1 ყველა გენერალური მენეჯერი და ადამიანური რესურსების/იურიდიული დეპარტამენტი

თითოეული რეგიონალური მენეჯერი (ან მასთან გათანაბრებული გენერალური მენეჯერი) პასუხისმგებელია ამ კოდექსის შესრულებაზე. მედიკავერის თითოეული დანაყოფის და ბიზნეს განყოფილების ადგილობრივი ადამიანური რესურსების/იურიდიული განყოფილება პასუხისმგებელია პროცედურების შესრულებაზე, რაც დაეხმარება დასაქმებულებს ამ კოდექსის და ადგილობრივი კანონების გაცნობაში. მედიკავერის თითოეული დანაყოფის ადგილობრივი ადამიანური რესურსების/იურიდიული განყოფილება ანგარიშვალდებულია გენერალური იურიდიული კონსულტანტის და მედიკავერის AB (publ) ჯგუფის ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორის წინაშე.

7.2 ყველა მენეჯერი

მედიკავერის თითოეული მენეჯერის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ დასაქმებულები ინფორმირებულნი არიან და იცავენ ამ კოდექსს.

7.3 ყველა დასაქმებული

ყველა თანამშრომელი ინდივიდუალურად პასუხისმგებელია წინამდებარე ქცევის კოდექსის გაცნობაზე და მოქმედ წესებთან და კანონებთან შესაბამისობაზე. წინამდებარე ქცევის კოდექსის და კანონების ყველა ცნობილი ან შესაძლო ფაქტობრივი ან პოტენციური დარღვევა უნდა დაფიქსირდეს.

წინამდებარე კოდექსის დარღვევა დააყენებს დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, რაც მოიცავს წერილობით გაფრთხილებას ან უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივი კანონის და მდგომარეობის გათვალისწინებით, სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტას.

8 კითხვები და დარღვევების შესახებ ანგარიშის ჩაბარება

8.1 როგორ გავიგო ვიგავ თუ არა ქცევის კოდექსს?

იმისთვის რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი მოქმედება ან გადაწყვეტილება ქცევის კოდექსს შეესაბამება, ყოველთვის დაუსვით თქვენ თავს კითხვები:

- კანონიერია?
- შეესაბამება მედიკავერის ღირებულებებს, ამ ქცევის კოდექსს ან მედიკავერის სხვა პოლიტიკას?

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიქავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიქავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



- კომფორტულად ვგრძნობ თავს?
- რასაც ვაკეთებ სწორია ჩემი გუნდისთვის, კლიენტებისთვის და მედიქავერის საქმიანობისთვის?
- მსურს თუ არა ჩემი მოქმედებები გასაჯაროვდეს?

თუ პასუხი არის არა ან არ ხართ დარწმუნებული, გაჩერდით და რჩევისთვის მიმართეთ მენეჯერს. ამ ქცევის კოდექსთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართეთ ქცევის კოდექსის საინფორმაციო საიტს, მედიქავერის ინტრანეტში.

8.2 დარღვევების შესახებ ანგარიშის ჩაბარება

ნებისმიერი დასაქმებული ვალდებულია მენეჯერს აცნობოს ისეთი ქცევის შესახებ, რომელიც ტყვენი აზრით არღვევს წინამდებარე კოდექსს ან მედიქავერის სხვა პოლიტიკას.

შესაბამისი მტკიცებულებით გამყარებული ნებისმიერი სახის შეურაცხყოფა ან დისკრიმინაცია უნდა აცნობოთ თქვენს მენეჯერს ან ადამიანურ რესურსებზე ან იურიდიულ მიმართულებაზე პსაუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ქცევის კოდექსის სერიოზულ დარღვევას და აღნიშნულს ვერ ამხელთ/განიხილავთ ადგილობრივ მენეჯერთან ან ადგილობრივ ორგანიზაციაში, უნდა იმოქმედოთ მედიქავერის მხილების პოლიტიკის მიხედვით.

წინამდებარე ქცევის კოდექსთან დაკავშირებული პოლიტიკის ჩამონათვალი, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ:

მედიქავერის მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

მედიქავერის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

მედიქავერის საკომუნიკაციო პოლიტიკა

მედიქავერის გარემოს დაცვის პოლიტიკა

მედიქავერ ჯგუფის ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა

მედიქავერის შინაგანაწესი

მედიქავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი

მედიქავერის მხილების პოლიტიკა

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მიმართულების დირექტორი	28.11.2018



დანართი

ვალდებულებების შესახებ განცხადება

მივიღე და გავეცანი მედიკავერის ქცევის კოდექსს. გავეცანი კოდექსის პრინციპებს. ვათვითცნობიერებ, რომ შეიძლება არსებობდეს დამატებითი პოლიტიკა ან კანონები, რაც ეხება კონკრეტულად ჩემს თანამდებობას და სამუშაო ადგილს.

ვაფიქსირებ ჩემს პირად ვალდებულებას დავემორჩილო მედიკავერის ქცევის კოდექსის და მედიკავერის შესაბამისი პოლიტიკების პრინციპებს, რაც შემუშავდება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

მედიკავერის ქცევის კოდექსის, მედიკავერის ნებისმიერი პოლიტიკის ან ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებული სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ შევითხვების შემთხვევაში შემიძლია დავუკავშირდე და კონსულტაცია გავიარო ჩემს მენეჯერთან, რეგიონულ გენერალურ მენეჯერთან (ან ექვივალენტურ რეგიონალურ მენეჯერს) ან ჯგუფის ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორს.

ჩემთვის გასაგებია, რომ მედიკავერის ქცევის კოდექსი ნებისმიერ დროს შეიძლება განახლდეს, შეიცვალოს, შეჩერდეს ან ანულირდეს და ჩემთვის ასევე გასაგებია, რომ უშუალოდ ჩემი პასუხისმგებლობა გავეცნო და დავაკვირდე რედაქტირებულ ვერსიებს.

მმართველ პოზიციაზე ყოფნის შემთხვევაში, მე, როგორც მენეჯერი ვალდებული ვარ ვასწავლო ჩემი გუნდის წევრებს მედიკავერის ქცევის კოდექსის შინაარსი და მისი სწორად გამოყენება.

მე, ქვემოთ ხელმოწერი ვეთანხმები ზემოაღნიშნულ განცხადებას.

ხელმოწერილია _____

დასაქმებულის სახელი/გვარი _____

განყოფილება/ თანამდებობა _____

თარიღი და ადგილი _____

გთხოვთ მოაწეროთ ხელი და ფორმა დაუბრუნოთ ადამიანური რესურსების ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელს.

დოკუმენტის სახელი:	დოკუმენტის ტიპი	ვერსია:
მედიკავერის ქცევის კოდექსი	ჯგუფის პოლიტიკა	7.0
დადასტურებულია	დოკუმენტის მფლობელი	დამტკიცების თარიღი:
მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	ჯგუფის ადამიანური რესურსების მმართველობის დირექტორი	28.11.2018



ვერსიის ისტორია

ვერსია	დადასტურების თარიღი	ავტორ(ებ)ი
6.0	27.06.2017	ავტორ(ებ)ი ჯგუფის არ დირექტორი
7.0	28.11.2018	კორპორატიული კომუნიკაციების და საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი

დოკუმენტის დეტალები

ავტორ(ებ)ი	პოზიცია	თარიღი	ხელმოწერა
ავტორ(ებ)ი	კორპორატიული კომუნიკაციების და საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი (Paula Treutiger)	19.11.2018	

ავტორიზაცია

ავტორიზებულია	პოზიცია	თარიღი	ხელმოწერა
ავტორიზებულია	ადმასრულებელი დირექტორი (Fredrik Rågmark)	19.11.2018	
ხელმოწერილია	ჯგუფის არ დირექტორი (Liselotte Bergmark)	19.11.2018	